83
964/2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 6 (239) 3 მარტი 1964 წელი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### ნაწილი I

#### განყოფილება პირველი

101. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კულტურულ თანამშრომლობაზე დადებული საბჭოთა კავშირ-ტანგანიკის შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ.

102. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა კავშირ-ავღანეთის იმ შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ, რომ სსრ კავშირმა ტექნიკური დახმარება გაუწიოს ავღანეთს ავღანეთის ჩრდილოეთი რაიონების საბადოებში ბუნებრივი გაზის მოპოვებისა და გამოყენების მოსაწესრიგებლად.

103. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საპროკურორო-საგამომძიებლო მუშაკთა საკლასო ხარისხების ზოგიერთი დებულების შეცვლის შესახებ.

104. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ზანზიბარისა და პემბის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დ. ს. ჩუვახინის დანიშვნის შესახებ.

#### განყოფილება მეორე

105. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პ. ა. ალბეგონოვის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.

106. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ყუბანის ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოსაცდელი სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის მექანიზატორების სსრ კავშირის ორდენებით დაჯილდოების შესახებ.

107. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ ლ. ი. ტიმოფეევის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.

108. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ბელორუსიის სსრ ნავთობქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის იმ მუშაკთათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ, რომელთაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი.

109. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა იუგოსლავიის მოქალაქის მიროსლავ ზოტოვიჩის სამამულო ომის I ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

110. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ყაზახეთის სსრ მეცხვარეობის მოწინავეებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

111. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ნ. კოსიგინისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

112. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კინორეჟისორ ა. მ. ზგურიდის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

113. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გენერალ-ლეიტენანტ ი. თ. ხალიპოვის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

114. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამხედრო მოსამსახურეთა სსრ კავშირის ორდენებით და მედლებით დაჯილდოების შესახებ.

115. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორ გ. ხ. საბინინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

116. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა .ფ. ვატჩენკოს ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

117. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აკადემიკოს ი. ნ. რაბოტნოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

118. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აკადემიკოს ვ. ნ. შაპოშნიკოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

119. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. პ. რუბენის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

120. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

### განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.
ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ.

## ნაწილი II

### განყოფილება მეორე

121. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. ს. ციმაკურიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაწილი I

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 101 კულტურულ თანამშრომლობაზე დადებული საბჭოთა კავშირ-ტანგანიკის შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი შეთანხმება კულტურული თანამშრომლობის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ტანგანიკის რესპუბლიკას შორის, ხელმოწერილი დარ-ეს-სალამში 1963 წლის 6 ნოემბერს, **რატიფიცირებულ იქნეს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 11 თებერვალი.
№ 2207-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 102 საბჭოთა კავშირ-ავღანეთის იმ შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ, რომ სსრ კავშირმა ტექნიკური დახმარება გაუწიოს ავღანეთს ავღანეთის ჩრდილოეთი რაიონების საბადოებში ბუნებრივი გაზის მოპოვებისა და გამოყენების მოსაწესრიგებლად

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და ავღანეთის მეფის მთავრობას შორის იმის შესახებ, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა ტექნიკური დახმარება გაუწიოს ავღანეთს ავღანეთის ჩრდილოეთი რაიონების საბადოებში ბუნებრივი გაზის მოპოვებისა და გამოყენების მოსაწესრიგებლად, ხელმოწერილი ქაბულში 1963 წლის 17 ოქტომბერს, **რატიფიცირებულ იქნეს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 12 თებერვალი.
№ 2214-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 103 საპროკურორო-საგამომძიებლო მუშაკთა საკლასო ხარისხების ზოგიერთი დებულების შეცვლის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილებანი „პროკურატურის ორგანოების პროკურატურისა და საგამომძიებლო მუშაკთათვის საკლასო ხარისხების დაწესების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1943 წლის 16 სექტემბრის ბრძანებულების (იხ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1943 წ., № 39) 2 მუხლის მეორე ნაწილში და 2 მუხლის ეს ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„იუსტიციის 1, 2 და 3 კლასის სახელმწიფო მრჩევლის საკლასო ხარისხებს ანიჭებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი სსრ კავშირის გენერალური პროკურორის წარდგინებით. სხვა საკლასო ხარისხების მინიჭება ხდება სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ბრძანებით, ხოლო 1, 2, 3 კლასების იურისტის და უმცროსი იურისტის საკლასო ხარისხებისა — აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების პროკურორების ბრძანებითაც“.

2. შეტანილ იქნეს ცვლილებანი „პროკურატურის ორგანოების პროკურატურისა და საგამომძიებლო მუშაკთათვის საკლასო ხარისხების დაწესების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 16 სექტემბრის ბრძანებულებით დამტკიცებული სსრ კავშირის პროკურატურის ორგანოების მუშაკთა საკლასო ხარისხების დებულების 2 მუხლში, 10 მუხლის „ბ“ პუნქტში, 18 მუხლში, და ჩამოყალიბდეს:

2 მუხლის ის ნაწილი, რომელიც ეხება 9, 10 და 11 კლასის ხარისხების მინიჭებას, შემდეგი რედაქციით:

| კლასი | ხარისხის დასახელება | თანამდებობა |
|---|---|---|
| 9 | 2 კლასის იურისტი | პროკურორის მოადგილე, თანაშემწე და ოლქის, ქალაქისა და რაიონის პროკურატურის გამომძიებელი; |
| 10 | 3 კლასის იურისტი | |
| 11 | უმცროსი იურისტი | |

10 მუხლის „ბ“ პუნქტი და 18 მუხლი შემდეგი რედაქციით:

„10. პროკურატურის ორგანოების საპროკურორო-საგამომძიებლო მუშაკებისათვის ხარისხების მინიჭება ხდება შემდეგი წესით:

ბ) იუსტიციის 1, 2 და 3 კლასების სახელმწიფო მრჩევლის საკლასო ხარისხებს ანიჭებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი სსრ კავშირის გენერალური პროკურორის წარდგინებით. სხვა საკლასო ხარისხების მინიჭება ხდება სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ბრძანებით, ხოლო 1, 2, 3

კლასების იურისტის და უმცროსი იურისტის საკლასო ხარისხებისა — აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების პროკურორების ბრძანებითაც“;

„18. პროკურატურის ორგანოების მუშაკები, რომლებსაც საკლასო ხარისხები მიენიჭათ, ატარებენ ამ ხარისხებს მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ხარისხის ჩამორთმევა შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ მუშაკი დათხოვილ იქნა პროკურატურის ორგანოებიდან ჩირქისმომცხებ საქციელისათვის. საპროკურორო-საგამომძიებლო მუშაკის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის უხეშად დარღვევისა და უღირსი საქციელის ჩადენის შემთხვევაში მას შეიძლება ჩამოუქვეითონ ხარისხი.

1-დან 4-კლასამდე ჩათვლით საკლასო ხარისხის ჩამორთმევა და ჩამოქვეითება ხდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, სხვა საკლასო ხარისხებისა — სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ბრძანებით“.

3. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 24 მაისის ბრძანებულებით (იხ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1955 წ., № 9) დამტკიცებული სსრ კავშირის საპროკურორო ზედამხედველობის დებულების 56 მუხლის მეოთხე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სხვა საკლასო ხარისხების მინიჭება ხდება სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ბრძანებით, ხოლო 1, 2, 3 კლასის იურისტის და უმცროსი იურისტის საკლასო ხარისხებისა — აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების პროკურორების ბრძანებითაც“.

4. ჩაითვალოს ძალადაკარგულად „სსრ კავშირის საპროკურორო ზედამხედველობის დებულების დამტკიცებასთან დაკავშირებით მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებათა შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 13 ივლისის ბრძანებულების (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1955 წ., № 14) 1 და 2 მუხლები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 14 თებერვალი.
№ 2221-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**104** **ზანზიბარისა და პემბის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დ. ს. ჩუვახინის დანიშვნის შესახებ**

დაინიშნოს დიმიტრი სტეფანეს ძე ჩუვახინი ზანზიბარის და პემბის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 21 თებერვალი.
№ 2258-VI.

## განყოფილება მეორე

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**105** **ჰ. ა. ალზეგონოვის „საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოების შესახებ**

სახელმწიფო ფასეულობათა გადარჩენის დროს გამოჩენილი მამაცობისა და თავგანწირულებისათვის ჰასან ალის ძე ალზეგონოვი დაჯილდოვდეს **„საპატიო ნიშნის"** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 14 თებერვალი.
№ 2218-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**106** **ყუბანის ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოსაცდელი სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის მექანიზატორების სსრ კავშირის ორდენებით დაჯილდოების შესახებ**

შაქრის ჭარხლისა და სიმინდის მოყვანის ახალი ტექნოლოგიის დასამუშავებლად და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ფართოდ დასანერგავად გაწეული აქტიური მუშაობისათვის და ხელით შრომის მინიმალური დანახარჯებით ამ კულტურების მოყვანაში მიღწეული მაღალი მაჩვენებლებისათვის **დაჯილდოვდნენ:**

**ლენინის ორდენით**

1. კუზმა ეგნატეს ძე **ლუკიანოვი** — მეჭარხლეობის მექანიზებული რგოლის წევრი.

2. ნიკოლოზ გრიგოლის ძე **პრუგლოვი** — მესიმინდეობის მექანიზებული რგოლის წევრი.

**შრომის წითელი დროშის ორდენით**

1. ნიკოლოზ პეტრეს ძე **ბულაშევი** — მეჭარხლეობის მექანიზებული რგოლის წევრი.
2. დანიელ დიმიტრის ძე **გალკა** — მესიმინდეობის მექანიზებული რგოლის წევრი.

**„საპატიო ნიშნის“ ორდენით**

1. თევდორე ნიკიტას ძე **ბრუშჩენკო** — მეჭარხლეობის მექანიზებული რგოლის წევრი.
2. ვლადიმერ თევდორეს ძე **ვერიოვკინი** — მეჭარხლეობის მექანიზებული რგოლის წევრი.
3. დიმიტრი იაკობის ძე **კარატუნოვი** — მეჭარხლეობის მექანიზებული რგოლის წევრი.
4. ივანე ალექსანდრეს ძე **კარნაუხი** — მესიმინდეობის მექანიზებული რგოლის წევრი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 14 თებერვალი.

№ 2219-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 107 სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ ლ. ი. ტიმოფეევის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურისა და ლიტერატურათმცოდნეობის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლეონიდე ივანეს ძე **ტიმოფეევი** დაჯილდოვდეს **„საპატიო ნიშნის“** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 14 თებერვალი.

№ 2220-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 108 ბელორუსიის სსრ ნავთობქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის იმ მუშაკთათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ, რომელთაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი

გროდნოს აზოტოვანი სასუქების ქარხნის, სოლიგორსკის კალიუმის პირველი კომბინატის და პოლოცკის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის მშენებლობის დროს თავდადებული შრომისა და მოპოვებული შესანიშნავი საწარმოო მიღწევებისათვის მიენიჭოთ **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეთ **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ური“**:

1. ივანე მათეს ძე **ჟიჟელს** — ბელორუსიის სსრ მშენებლობის მინისტრს.

2. ანატოლ სტეფანეს ძე **კრემნის** — ბელორუსიის სსრ მშენებლობის სამინისტროს „ნეფტესტროის“ № 16 ტრესტის მექანიზაციის № 141 სამმართველოს ექსკავატორის მემანქანეს.

3. ანატოლი ვასილის ძე **სელივანოვს** — სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სახელმწიფო კომიტეტის ტრესტ „შახტსპეცსტროის“ ბელორუსიის სამშენებლო შახტგამყვანი სამმართველოს გამყვანთა ბრიგადირს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 15 თებერვალი.

№ 2222-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 109 იუგოსლავიის მოქალაქის მიროსლავ ზოტოვიჩის სამამულო ომის I ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მეორე მსოფლიო ომის წლებში საბჭოთა სამხედრო მოსამსახურეების გადასარჩენად გამოჩენილი მამაცობისა და თავგანწირულებისათვის იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქე მიროსლავ **ზოტოვიჩი** დაჯილდოვდეს **სამამულო ომის I ხარისხის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 18 თებერვალი.

№ 2252-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 110 ყაზახეთის სსრ მეცხვარეების მოწინავეებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

ცხვრის ხორცის, მატყლისა და ყარაკულის კრაველის წარმოების გადიდებაში მოპოვებული დიდი წარმატებებისათვის მიენიჭოთ **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეთ **ლენინის** ორდენები და ოქროს მედლები **„ნამგალი და ურო“**:

1. დილდაშ **იტბასოვას** — ჯამბულის ოლქის ჩუს საწარმოო სამმართველოს აიდარლის მეჭარხლეობის საბჭოთა მეურნეობის უფროს მწყემსს.
2. ილიას **კიდირბაიევს** — ჩიმკენტის ოლქის ყიზილ-ყუმის საწარმოო სამმართველოს საბჭოთა მეურნეობა „ოვცევოდის“ უფროს მწყემსს.
3. ბალგაბაი **ოსპანოვს** — პავლოდარის ოლქის პავლოდარის საწარმოო სამმართველოს ბესკარაგაის მეცხვარეობის საჯიშე საბჭოთა მეურნეობის უფროს მწყემსს.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 18 თებერვალი.
№ 2253-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 111 ამხ. ა. ნ. კოსიგინისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. ა. ნ. კოსიგინის დიდი დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით ამხ. ალექსი ნიკოლოზის ძე კოსიგინს მიენიჭოს **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ურო“**.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 20 თებერვალი.
№ 2257-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 112 კინორეჟისორ ა. მ. ზგურიდის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით მოსკოვის სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდიის კინორეჟისორი ალექსანდრე მიხეილის ძე **ზგურიდი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი, 1964 წლის 21 თებერვალი.
№ 2259-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 113 გენერალ-ლეიტენანტ ი. თ. ხალიპოვის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით გენერალ-ლეიტენანტი ივანე თევდორეს ძე **ხალიპოვი** დაჯილდოვდეს **წითელი ვარსკვლავის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი, 1964 წლის 22 თებერვალი.
№ 2260-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 114 საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამხედრო მოსამსახურეთა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის და ახალი რთული საბრძოლო ტექნიკის წარმატებით ათვისებისათვის **დაჯილდოვდნენ:**

**წითელი ვარსკვლავის ორდენით**

1. ტექნიკური სამსახურის კაპიტანი ვლადიმერ ივანეს ძე **ავერიანოვი.**
2. ინჟინერ-პოდპოლკოვნიკი ვლადიმერ კონსტანტინეს ძე **ალექსანდროვი.**
3. პოდპოლკოვნიკი ივანე პარფირის ძე **ალექსეენკო.**
4. უფროსი ლეიტენანტი ანატოლი მიხეილის ძე **ალხიმენკოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. ინჟინერ-მაიორი ალექსი თევდორეს ძე **ანანინი.**
6. კაპიტანი ალექსანდრე მაქსიმეს ძე **ანოხოვი.**
7. პოლკოვნიკი პავლე კუზმას ძე **ანტონოვი.**
8. მაიორი ალექსანდრე სანჟეს ძე **აიუშევი.**
9. მაიორი ანდრია სიმონის ძე **ბაბიჩი.**
10. პოლკოვნიკი ივანე დიმიტრის ძე **ბარანცოვი.**
11. უფროსი ლეიტენანტი სტანისლავ ადამის ძე **ბარკანი.**
12. კაპიტანი ალექსანდრე ვასილის ძე **ბელჩენკო.**
13. მაიორი ვიქტორ თევდორეს ძე **ბესპალოვი.**
14. პოლკოვნიკი ანატოლ ვასილის ძე **ბოგდანოვი.**
15. კაპიტანი კონსტანტინე პეტრეს ძე **ბოლომოჟნოვი.**
16. მაიორი ალექსანდრე ევგენის ძე **ბონდარი.**
17. კაპიტან-ლეიტენანტი ანატოლ როდიონის ძე **ბრიჩკოვი.**
18. პოლკოვნიკი ალექსი მიტროფანეს ძე **ბუნიაევი.**
19. უფროსი ლეიტენანტი ადი ივანეს ძე **ბურცევი.**
20. კაპიტანი ივანე იაკობის ძე **ველიჩკო.**
21. ინჟინერ-კაპიტანი პეტრე ლეონის ძე **ვერემეევი.**
22. მაიორი ნიკოლოზ მეთოდეს ძე **ვლადიჩენკო.**
23. მაიორი ბორის იაკობის ძე **ვოდოტიევსკი.**
24. პოდპოლკოვნიკი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე **ვოლჩენკოვი.**
25. მაიორი ივანე ფილიპეს ძე **ვორობიოვი.**
26. პოლკოვნიკი ვლადიმერ თომას ძე **გადუშკინი.**
27. კაპიტანი ალექსანდრე თევდორეს ძე **გალკინი.**
28. ტექნიკური სამსახურის პოდპოლკოვნიკი ნიკოლოზ გრიგოლის ძე **გერუანი.**
29. უფროსი ტექნიკოს-ლეიტენანტი ალექსანდრე დიმიტრის ძე **გლუშჩენკო.**
30. მაიორი ვლადიმერ ემელიანეს ძე **გოგსაძე.**
31. პოდპოლკოვნიკი ლეონიდე მიხეილის ძე **გონჩაროვი.**
32. კაპიტანი ნიკოლოზ ივანეს ძე **გონჩაროვი.**
33. პოლკოვნიკი ალექსანდრე დიმიტრის ძე **გორბუნოვი.**
34. უფროსი ლეიტენანტი იხილ დავითის ძე **გორეშკოვი.**
35. ინჟინერ-პოლკოვნიკი პავლე სოლომონის ძე **გოროშევსკი.**
36. კაპიტანი ვიქტორ ივანეს ძე **გორიაინოვი.**
37. პოდპოლკოვნიკი ვლადიმერ თევდორეს ძე **გრაჩევი.**
38. ტექნიკური სამსახურის კაპიტანი ალექსი ივანეს ძე **გრიგორიევი.**
39. მე-2 რანგის კაპიტანი ანატოლ ივანეს ძე **გრიშეჩკინი.**
40. პოდპოლკოვნიკი გიორგი ტიმოთეს ძე **გუბინი.**
41. კაპიტანი ვლადიმერ ფეოდოსის ძე **გუძიკი.**
42. უფროსი ლეიტენანტი ნიკოლოზ ივანეს ძე **დანილინი.**
43. მაიორი ალექსანდრე საბას ძე **დედიუხი.**
44. პოლკოვნიკი ალექსი ნიკოლოზის ძე **დობრინინი.**

45. მაიორი ვლადიმერ ვასილის ძე **დიაჩენკო.**
46. უფროსი ლეიტენანტი ნიკოლოზ ივანეს ძე **ელიზაროვი.**
47. კაპიტანი ნიკოლოზ ემელიანეს ძე **ეფიმენკო.**
48. უფროსი ტექნიკოს-ლეიტენანტი ვალენტინ ვლადიმერის ძე **ჟელა-ნიკოვი.**
49. კაპიტანი ვლადიმერ ივანეს ძე **ზადოროჟნი.**
50. უფროსი ლეიტენანტი იგორ კონსტანტინეს ძე **ზაიცევი.**
51. კაპიტანი იური დიმიტრის ძე **ზაიცევი.**
52. უფროსი ლეიტენანტი მიხეილ ალექსის ძე **ზახაროვი.**
53. პოდპოლკოვნიკი ვასილ მიხეილის ძე **ზლატჩენკო.**
54. მე-3 რანგის კაპიტანი იური პავლეს ძე **ზუევი.**
55. პოლკოვნიკი ბორის თევდორეს ძე **იგნატიევი.**
56. უფროსი ლეიტენანტი ვასილ ივანეს ძე **ილიუკი.**
57. ტექნიკოს-ლეიტენანტი ანატოლ თევდორეს ძე **იშუტკინი.**
58. მაიორი ვიქტორ ალექსანდრეს ძე **კაზაკოვი.**
59. პოდპოლკოვნიკი დიმიტრი ანტონის ძე **კაზაკოვი.**
60. მე-2 რანგის კაპიტანი მარატი პავლეს ძე **კაპრანოვი.**
61. მე-2 რანგის კაპიტანი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე **კაუცკი.**
62. ტექნიკური სამსახურის პოდპოლკოვნიკი ივანე მარკიანის ძე **კიბზუნი.**
63. კაპიტანი ივანე თევდორეს ძე **კობზინი.**
64. უფროსი ინჟინერ-ლეიტენანტი ვიქტორ მიხეილის ძე **კოლესნიკი.**
65. ლეიტენანტი ვიქტორ პავლეს ძე **კოლესოვი.**
66. 1-ლი რანგის კაპიტანი ოლეგ ბორისის ძე **კომაროვი.**
67. უფროსი ტექნიკოს-ლეიტენანტი თევდორე ივანეს ძე **კორსუნი.**
68. კაპიტანი მიხეილ პეტრეს ძე **კრამჩენკოვი.**
69. ინჟინერ-კაპიტანი ვასილ პროხორის ძე **კრიშჩუკი.**
70. კაპიტანი იური ვლადიმერის ძე **კროპაჩევი.**
71. მაიორი ანატოლ ილიას ძე **კუზმინი.**
72. პოლკოვნიკი მიხეილ ივანეს ძე **კუპრიანოვი.**
73. პოდპოლკოვნიკი იაკობ იოსების ძე **ლიბერმანი.**
74. კაპიტანი ვასილ იაკობის ძე **ლისოვი.**
75. უფროსი ლეიტენანტი ივანე მიხეილის ძე **ლიტვინენკო.**
76. პოდპოლკოვნიკი პეტრე პავლეს ძე **ლუდანოვი.**
77. კაპიტან-ლეიტენანტი ვასილ ტიმოთეს ძე **ლიკოვი.**
78. კაპიტანი ალექსანდრე გერასიმეს ძე **მარჩუკი.**
79. პოლკოვნიკი მიხეილ ვასილის ძე **მატროსოვი.**
80. ტექნიკური სამსახურის კაპიტანი ალექსანდრე მიხეილის ძე **მენში-კოვი.**
81. მაიორი ვასილ მიტროფანეს ძე **მიროშნიჩენკო.**
82. კაპიტანი სტეფანე იაკობის ძე **მისევი.**
83. კაპიტანი ვალენტინ ვიქტორის ძე **მიხეევი.**
84. მაიორი იური პეტრეს ძე **მოისეევი.**

85. უფროსი ტექნიკოს-ლეიტენანტი ევგენი ალექსანდრეს ძე **მოლოდენკოვი.**

86. უფროსი ტექნიკოს-ლეიტენანტი ანატოლ ნიკიტას ძე **მოლჩანოვი.**

87. პოდპოლკოვნიკი ვასილ ვლადიმერის ძე **მოროზოვი.**

88. ინჟინერ-კაპიტანი ანატოლ ნიკოლოზის ძე **ნაზაროვი.**

89. მე-2 რანგის კაპიტანი ნიკოლოზ ივანეს ძე **ნატნიონკოვი.**

90. ინჟინერ-პოდპოლკოვნიკი ლეონიდე მიხეილის ძე **ნეგინი.**

91. ლეიტენანტი ლეონიდე ფილიპეს ძე **ნიკიტიუკი.**

92. პოდპოლკოვნიკი ლეონიდე ანდრიანის ძე **ნიკულინი.**

93. მაიორი იური ალექსანდრეს ძე **ნოვიკოვი.**

94. პოდპოლკოვნიკი პეტრე ივანეს ძე **ოვსიანიკოვი.**

95. პოდპოლკოვნიკი ვლადიმერ ვლადიმერის ძე **ონისიმოვი.**

96. უფროსი ტექნიკოს-ლეიტენანტი ალექსი ვასილის ძე **პავლოვი.**

97. მაიორი ლეონიდე პავლეს ძე **პავლოვი.**

98. კაპიტანი პავლე თევდორეს ძე **პანკოვი.**

99. პოლკოვნიკი პეტრე პეტრეს ძე **პანჩენკო.**

100. კაპიტანი სერგი დიმიტრის ძე **პერლიფონოვი.**

101. სამედიცინო სამსახურის პოდპოლკოვნიკი ვიქტორ ექვთიმეს ძე **პეტრიაკოვი.**

102. კაპიტანი ივანე ფრანცის ძე **პეტროვსკი.**

103. პოდპოლკოვნიკი არტემ მათეს ძე **პილიპჩუკი.**

104. პოლკოვნიკი ლეონიდე ალექსანდრეს ძე **პიტერსკი.**

105. კაპიტანი ვიქტორ ტიმოთეს ძე **პიჩეკინი.**

106. ტექნიკური სამსახურის კაპიტანი ანტონ კონსტანტინეს ძე **პიჩუევი.**

107. კაპიტანი ნიკოლოზ პეტრეს ძე **პოლუხინი.**

108. ტექნიკური სამსახურის პოდპოლკოვნიკი ივანე დიმიტრის ძე **პოპოვი.**

109. კაპიტანი მიხეილ ვლადიმერის ძე **პრონინი.**

110. მაიორი სტეფანე დანიელის ძე **პიატერნიკოვი.**

111. მაიორი ვლადლენ გაბრიელის ძე **რადკევიჩი.**

112. უფროსი ლეიტენანტი იური ლეონტის ძე **რატუშნიაკი.**

113. უფროსი ლეიტენანტი ივანე არტემის ძე **რეპეტუევი.**

114. უფროსი ლეიტენანტი ნიკოლოზ ანდრიას ძე **რიჟიკი.**

115. მაიორი ივანე ილიას ძე **სავჩუკოვი.**

116. ინჟინერ-კაპიტანი მისბახ საფინის ძე **საფინი.**

117. უფროსი ლეიტენანტი იური თევდორეს ძე **საფონჩიკი.**

118. ლეიტენანტი სერგი ივანეს ძე **სედაკოვი.**

119. ტექნიკური სამსახურის კაპიტანი ანატოლ ალექსის ძე **სედოვი.**

120. მე-3 რანგის კაპიტანი არკადი ივანეს ძე **სემიონოვი.**

121. მაიორი ვასილ მიხეილის ძე **სიმონოვი.**

122. ინჟინერ-კაპიტანი ვასილ ივანეს ძე **სირიჩენკო.**

123. უფროსი ლეიტენანტი ნიკოლოზ ფილიპეს ძე **სლიოზკინი.**

124. კაპიტანი ბენიამინ ეგორის ძე **სმირნოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

125. უფროსი ტექნიკოს-ლეიტენანტი იური იაკობის ძე **სპირენკოვი.**
126. მაიორი ივანე ალექსის ძე **სტარჩენკო.**
127. კაპიტანი სერგი ალექსის ძე **სტეფანოვი.**
128. უფროსი ლეიტენანტი იური მიხეილის ძე **სტეფანოვი.**
129. პოდპოლკოვნიკი ვლადიმერ კონსტანტინეს ძე **სტრელნიკოვი.**
130. კაპიტანი ევგენი მაქსიმეს ძე **სისოევი.**
131. უფროსი ლეიტენანტი გრიგოლ ანდრიას ძე **ტიტარენკო.**
132. მაიორი ივანე ათანასეს ძე **ტიხონოვი.**
133. მაიორი პეტრე ილიას ძე **ტოკარევი.**
134. კაპიტანი ვასილ ივანეს ძე **ტოლშინი.**
135. მაიორი ვლადიმერ დიმიტრის ძე **ტოჩინოვი.**
136. კაპიტანი ანატოლ მიხეილის ძე **ტროფიმოვი.**
137. პოლკოვნიკი გრიგოლ თევდორეს ძე **ტურშატოვი.**
138. უფროსი ტექნიკოს-ლეიტენანტი შამილ ბელიალის ძე **უსმანოვი.**
139. უფროსი ლეიტენანტი ლევ მიხეილის ძე **უსტიმენკო.**
140. პოდპოლკოვნიკი ივანე ვასილის ძე **უშაკოვი.**
141. კაპიტანი ანტონ ლეონტის ძე **ფილიპიშინი.**
142. მე-3 რანგის კაპიტანი გიორგი ვასილის ძე **ხვედჩუკი.**
143. უფროსი ლეიტენანტი ნიკოლოზ ანდრიას ძე **ხიჩოვი.**
144. კაპიტანი ბენიამინ რომანის ძე **ხოროშილოვი.**
145. პოდპოლკოვნიკი ვლადიმერ ისიდორეს ძე **ხოცკო.**
146. ლეიტენანტი მიხეილ ნიკოლოზის ძე **ჩერემისინი.**
147. პოდპოლკოვნიკი პავლე დიმიტრის ძე **ჩერემნიხი.**
148. მაიორი მსტისლავ პეტრეს ძე **ჩერკასოვი.**
149. კაპიტანი ვასილ დიმიტრის ძე **ჩერნიხი.**
150. მაიორი ალექსანდრე ივანეს ძე **შახოვი.**
151. ინჟინერ-კაპიტანი ედუარდ პავლეს ძე **შაშკინი.**
152. პოლკოვნიკი პავლე თევდორეს ძე **შიკული.**
153. უფროსი ლეიტენანტი ვლადიმერ სერგის ძე **შმატოვი.**
154. უფროსი ლეიტენანტი ნიკოლოზ ევსტეგნის ძე **იუჟანინი.**
155. უფროსი ლეიტენანტი იური პეტრეს ძე **იურკოვი.**
156. კაპიტანი ანატოლ პეტრეს ძე **იაკუშევი.**
157. მე-3 რანგის კაპიტანი ნიკოლოზ იაკობის ძე **იასაკოვი.**
158. კაპიტანი ლეონიდე ვასილის ძე **იაფარკინი.**

**„საპატიო ნიშნის“ ორდენით**

1. უფროსი ტექნიკოს-ლეიტენანტი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე **დროჟინი.**
2. ტექნიკოს-ლეიტენანტი ვასილ გრიგოლის ძე **მოლჩანი.**

**მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“**

1. უფროსი ინჟინერ-ლეიტენანტი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე **აკოლზინი.**
2. ტექნიკური სამსახურის მაიორი იაკობ გრიგოლის ძე **ბელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ტექნიკური სამსახურის კაპიტანი ნიკოლოზ ეგორის ძე **დედოვი.**
4. უფროსი ლეიტენანტი ვასილ ივანეს ძე **დიმიტრიევი.**
5. მაიორი ნიკოლოზ პორფილეს ძე **დიაჩენკო.**
6. კაპიტანი პახომ მიხეილის ძე **ევტიუშკინი.**
7. მაიორი ვლადლენ ვასილის ძე **ერმოლაევი.**
8. უფროსი ლეიტენანტი ვასილ მიხეილის ძე **ჟირნოვი.**
9. კაპიტანი ვლადიმერ ნიკოლოზის ძე **ზუბარევი.**
10. ტექნიკური სამსახურის კაპიტანი ბენიამინ ვასილის ძე **ზუევი.**
11. უფროსი ლეიტენანტი ანატოლ ვასილის ძე **ზიკოვი.**
12. კაპიტანი პეტრე ვასილის ძე **ინდენკო.**
13. ტექნიკოს-ლეიტენანტი ვლადიმერ მიტროფანეს ძე **კოზაკი.**
14. უფროსი ტექნიკოს-ლეიტენანტი იური ანტონის ძე **კომიშანი.**
15. კაპიტანი იური ნიკოლოზის ძე **კუზნეცოვი.**
16. ტექნიკური სამსახურის მაიორი პავლე ვასილის ძე **მელნიკოვი.**
17. ტექნიკური სამსახურის კაპიტანი ვიქტორ პეტრეს ძე **მოროზოვი.**
18. ინჟინერ-კაპიტანი ანატოლი ანტონის ძე **ნემშილოვი.**
19. უფროსი ლეიტენანტი ვლადიმერ ივანეს ძე **ონიშკო.**
20. უფროსი ლეიტენანტი ვლადიმერ ილიას ძე **ორლოვი.**
21. ლეიტენანტი ვიქტორ თევდორეს ძე **პლეშანი.**
22. უფროსი ტექნიკოს-ლეიტენანტი ვლადიმერ ვასილის ძე **როჟინი.**
23. კაპიტანი ვლადიმერ ვასილის ძე **რიაბჩიკოვი.**
24. უფროსი ტექნიკოს-ლეიტენანტი იური მიხეილის ძე **სენიკოვი.**
25. კაპიტანი ათანასე ფილიპეს ძე **სკრიპნიკი.**
26. კაპიტან-ლეიტენანტი ბორის მიხეილის ძე **ცარიოვი.**
27. უფროსი ტექნიკოს-ლეიტენანტი ლეონიდე ფრანცის ძე **ცეხანი.**
28. ინჟინერ-კაპიტანი ვალენტინ ივანეს ძე **შაკლეინი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 22 თებერვალი.
№ 2261-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 115 ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორ გ. ხ. საბინინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

აეროდინამიკის განვითარების დარგში დამსახურებისათვის და დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სსრ კავშირის საავიაციო ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის პროფესორ ნ. ე. ჟუკოვსკის სახელობის ცენტრალური აეროჰიდროდინამიკური ინსტიტუტის განყოფი-

ლების სამეცნიერო ხელმძღვანელი ამხ. გრიგოლ ხარლამპის ძე **საბინინი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 22 თებერვალი.
№ 2262-VI,

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 116 ამხ. ა. ფ. ვატჩენკოს ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით უკრაინის კპ დნეპროპეტროვსკის სასოფლო ოლქკომის პირველი მდივანი ამხ. ალექსი ფედორის ძე **ვატჩენკო** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 24 თებერვალი.
№ 2263-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 117 აკადემიკოს ი. ნ. რაბოტნოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მექანიკის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით აკადემიკოსი იური ნიკოლოზის ძე **რაბოტნოვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 24 თებერვალი.
№ 2264-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 118 აკადემიკოს ვ. ნ. შაპოშნიკოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სამამულო ტექნიკური მიკრობიოლოგიის განვითარებასა და კვალიფიციური კადრების მომზადებაში დამსახურებისათვის და დაბადების ოთხმოც წელთან

დაკავშირებით აკადემიკოსი ვლადიმერ ნიკოლოზის ძე **შაპოშნიკოვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 24 თებერვალი.
№ 2265-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 119 ამხ. ვ. პ. რუბენის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ლატვიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ვიტალი პეტრეს ძე **რუბენი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 25 თებერვალი.
№ 2267-VI.

9369.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 120 საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ **„გმირი დედის“** საპატიო წოდება და გადაეცეთ **„გმირი დედის“** ორდენები და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათ-ათი და მეტი შვილი:

1. ქვაჩა ლევანის ასულ **არჩვავას** — კოლმეურნეს, ცხაკაიას რაიონის სოფელი აბუთი.
2. რეიმე თემოს ასულ **ვაშაყმაძეს** — ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, აჭარის ასს რესპუბლიკის ხულოს რაიონი.
3. ლუსია გიგოს ასულ **გვარამიას** — ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის გალის რაიონი.
4. ნინო პორფილეს ასულ **გოცირიძეს** — დიასახლისს, ზუგდიდის რაიონის სოფელი ხობი.
5. ფიქრია მუსტაფას ასულ **დიდმანიძეს** — კოლმეურნეს, აჭარის ასს რესპუბლიკის ჩაქვის რაიონის სოფელი ხელვაჩაური.

6. ოლღა ექვთიმეს ასულ **ქარჩავას** — დიასახლისს, ცხაკაიას რაიონის ქალაქის ტიპის დაბა ჩხოროწყუ.

7. შინაკი ეგიეს ასულ **რატიას** — კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ წევრს, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის გალის რაიონი.

8. ნადეჟდა გრიგოლის ასულ ჩესნოკოვას — დიასახლისს, ქალაქი თბილისი.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი, 1964 წლის 25 თებერვალი.

№ 2269-VI.

## განყოფილება მესამე

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ბელორუსიის სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს გროდნოს აზოტოვანი სასუქების ქარხნის, სოლიგორსკის კალიუმის პირველი კომბინატის და პოლოცკის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის მშენებლობის დროს მოპოვებული მიღწევებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1964 წლის 15 თებერვლის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა მშენებლობის 297 მონაწილე, რომელთაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: № 11 ტრესტის № 142 სამშენებლო სამმართველოს ოსტატი კ. ი. ავტუხი, „ნეფტესტროის“ № 6 ტრესტის მმართველი ნ. ტ. არხიპეცი, № 11 ტრესტის № 142 სამშენებლო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი ვ. თ. გნიზა, პოლოცკის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის მშენებლობის ყოფილი დირექტორი ო. ა. კტატოროვი, „პრომტეხმონტაჟის“ № 19 ტრესტის № 89 სპეციალიზებული სამმართველოს მემონტაჟე ზეინკალთა ბრიგადირი ი. პ. ობრაზცოვი, სოლიგორსკის კალიუმის პირველი კომბინატის გამყვანთა ბრიგადის ხელმძღვანელი ი. გ. ოკოლელოვი, სოლიგორსკის № 5 ავტობაზის მძღოლი ს. პ. პროხოროვიჩი, „ნეფტესტროის“ № 16 ტრესტის № 125 სამშენებლო სამმართველოს კომუნისტური შრომის კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი ა. ი. პუკა, № 11 ტრესტის № 142 სამშენებლო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი ი. ნ. საკი, ტრესტ „სოიუზპრომმონტაჟის“ გროდნოს სპეციალიზებული სამმართველოს ელექტროშემდუღებელი გ. ა. ტორგონსკი, № 3 ტრესტის № 122 სამშენებლო სამმართველოს კომუნისტური შრომის კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი ი. პ. ჩებოტარი და „სტროინდუსტრიას“ № 2 ტრესტის რკინა-ბეტონის ნაკეთობათა № 6 ქარხნის მეარმატურეთა ბრიგადირი ნ. თ. ჩერკასოვი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 45 კაცი, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 75, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 75 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 90 კაცი.

ბრძანებულება ქვეყნდება „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* *
*

ცხვრის ხორცის, მატყლის და ყარაკულის კრაველის წარმოების გადიდებაში მოპოვებული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1964 წლის 18 თებერვლის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა ყაზახეთის სსრ 297 მეცხვარე.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: ყზილ-ორდის ოლქის ჩიილის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობა „გიგანტის" უფროსი მწყემსი ა. ასანოვი, ყარაგანდის ოლქის ჯეზდინის საწარმოო სამმართველოს ქეტიკონურის საბჭოთა მეურნეობის უფროსი მწყემსი ა. ბიბაევი, ალმა-ატის ოლქის სარყანდის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობა „ენერგიას" უფროსი მწყემსი ქ. ბუშევი, ჯამბულის ოლქის ტალასის საწარმოო სამმართველოს ტალასის მეყარაკულეობის საჯიშე საბჭოთა მეურნეობის უფროსი მწყემსი ო. იბრაიმოვი, გურიევის ოლქის მახამბეტის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობა „პერედოვიკის" უფროსი მწყემსი ა. კაბდულოვი, ჩიმკენტის ოლქის სუზაკსკის საწარმოო სამმართველოს საბჭოთა მეურნეობა „სიზგანის" უფროსი მწყემსი ტ. კოიბაევი, სემიპალატინსკის ოლქის ურჯარის საწარმოო სამმართველოს საბჭოთა მეურნეობა „ყარბულაკსკის" უფროსი მწყემსი კ. კოშეკოვი, აღმოსავლეთ ყაზახეთის ოლქის ყურჩუმის საწარმოო სამმართველოს ბურანოვსკის საბჭოთა მეურნეობის უფროსი მწყემსი ა. ჟ. ოკიკენოვი, ქოქჩეტავის სოფლის მეურნეობის საოლქო საცდელი სადგურის უფროსი მწყემსი პ. დ. რაუ და კუსტანაის ოლქის ამანგელდის საწარმოო სამმართველოს სარიტურგაის საბჭოთა მეურნეობის უფროსი მწყემსი რ. ტულეკბაევი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 20 კაცი, „საპატიო ნიშნის" ორდენით — 40, მედლით „შრომითი მამაცობისათვის" — 109 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის" — 118 კაცი.

ბრძანებულება ქვეყნდება „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში".

## ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ

### უზბეკეთის სსრ

#### კაშკადარიას ოლქის შექმნა

ახალი მიწების ათვისების, ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა კომპლექსის და ახალი მსხვილი საბჭოთა მეურნეობების მშენებლობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების რესურსების უფრო სრულად გამოყენების სამუშაოებისადმი ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1964 წლის 7 თებერვლის ბრძანებულებით შექმნა **კაშკადარიას** ოლქი, რომლის ცენტრია ქალაქი **კარში**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლქს გადაეცა ქალაქები კარში და შახრისიაბზი, სასოფლო რაიონები: გუზარისა, კარშისა, კასანისა, შახრისიაბზისა და იაკაბაგისა, რომლებიც გამოეყვნენ სურხანდარიის ოლქს.

ქალაქი შახრისიაბზი განეკუთვნა საოლქო დაქვემდებარების ქალაქებს.

კაშკადარიის ოლქში შექმნილია მშრომელთა დეპუტატების ერთიანი საოლქო საბჭო.

### სამარყანდის მშრომელთა დეპუტატების ერთიანი საოლქო საბჭოს შექმნა

უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 7 თებერვლის ბრძანებულებით სამარყანდის ოლქში მშრომელთა დეპუტატების არსებული საოლქო, (სასოფლო) და საოლქო (სამრეწველო) საბჭოების ნაცვლად შექმნილია სამარყანდის მშრომელთა დეპუტატების ერთიანი საოლქო საბჭო.

## ნაწილი II

## განყოფილება მეორე

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 121 ამხ. კ. ს. ციმაკურიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით და რესპუბლიკის სამეურნეო მშენებლობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის ამხ. კონდრატე სოკრატის ძე ციმაკურიძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი. 1964 წლის 25 თებერვალი.

გამომცემლობა „იზვესტია სოვეტოვ დეპუტატოვ ტრუდიაშჩიხსია სსსრ“
მოსკოვი, ცენტრი, პუშკინის მოედანი, 5.

## დაიბეჭდა და იყიდება

# სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის

(1963 წლის 16—19 დეკემბერი)

# სტენოგრაფიული ანგარიში

(რუსულ ენაზე)

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გამოცემა

სტენოგრაფიული ანგარიშის დამატებაში დაბეჭდილია: კანონი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1964—1965 წლების სახელმწიფო გეგმის შესახებ, კანონი სსრ კავშირის 1964—1965 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება სსრ კავშირის 1962 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ, სსრ კავშირის კანონები და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებანი ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ, აგრეთვე პალატების დადგენილებანი.

**წიგნის ფასია — 1 მან. 01 კაპ.**

სტენოგრაფიული ანგარიში იყიდება

წიგნის მაღაზიებში.